ბრძანება:**ბ134. 134241561**

თარიღი:**04/06/2024**

ბადრი მარგიანისათვის დამატებითი ფუნქციის დაკისრების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლის მე-4 ნაწილის ,,ა" და ,,ბ"პუნქტის, ასევე ამავე მუხლის მე-5 ნაწილის, ამავე მუხლის მე-6 და მე-9 ნაწილების, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს 2024 წლის 13 მაისის N 01/830 წერილის და პერსონალურ მონცემთა დაცვის სამსახურის 02.04.2024 წლის N PDPS 2 2400004579 წერილის შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. 2023 წლის 14 ივნისის ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის ფუნქციის შემსრულებლად მისი ძირითადი ფუნქციისგან გათვისუფლების გარეშე 2024 წლის 01 ივნისიდან განისაზღვროს მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის შრომითი უსაფრთხოების სპეციალისტი ბადრი მარგიანი. აღნიშნული ფუნქციის შესრულებისათვის აუნაზღაურდეს სარგო 240 ლარის ოდენობით.

2. პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი ანგარიშვალდებულია მერის წინაშე.

3. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, ზუგდიდის რაიონული სასამართლოში (მის: ქ. ზუგდიდი, რევაზ ლაღიძის ქ. №12).

კაპიტონ ჟორჟოლიანი

მესტიის მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი